



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ი



0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 1

10 / იანვარი / 2017 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღებასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული გრანტისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში, სახელმწიფომ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის შეისყიდა 3 ერთეული კომპაქტორიანი ნაგავზუბი მანქანა და 100 ერთეული ნარჩენების კონტეინერი, რისთვისაც საჭიროა (საკუთარი შემოსავლების სიმცირის გამო) სსიპ -საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან სესხის აღება 10 წლიანი ვადით 617928 ლარი, რომლის საშეღავათო პერიოდია 2019 წლის 28 ოქტომბრამდე.

-საპროცენტო განაკვეთი: ცვლადი +0,5%

- გაცემის საკომისიო - სესხის თანხის 1%

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების და საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1.მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, მუნიციპალიტეტის სახელით აიღოს მრავალწლიანი (10 წლიანი) სესხი 617928 ლარის ოდენობით.

ალიტეტი

2. განკარგულება გადაეზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ.№41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე



გელა ჯუგაშვილი